

### პ ა მ ფ ლ ე ბ ი

მადლობა ღმერთს, მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთმა საკავშირო საშუალებამ საბოლოოდ გაარკვია თბილისში 1989 წლის 9 აპრილს დატრიალებული ტრაგედიის გარემოებანი. ტრაგედიის ნამდვილი სურათი ასეთია:

როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობის სასახლის წინ რამდენიმე დღე გრძელდებოდა უსაქციო მიტინგი. მიტინგის მონაწილენი გაიძახოდნენ უხამს და მიუღებელ ლოზუნგებს („საქართველოს გაუმარჯოს“ და სხვ.), მთავრობის სასახლის კიბეებზე კი ისხდნენ მოშიშვლენი, რომლებიც უარს ამბობდნენ არა ჩვეულებრივ, საბჭოთა ადამიანისათვის ტიპურ საქმელებზე (კარტოფილი, ლობიო, სოსისი, ძეხვი, ჩაი...), არამედ ისეთ დეფიციტურ დელიკატესებზე, რომელთა ქონაც საიქვოს ზღის საბჭოთა მოშიშვლენების პოლიტიკურ სანდოობასა და მოქალაქეობრივ პატიოსნებას. ამასთან მომიტინგეებიცა და მოშიშვლენებიც ლოცულობდნენ არა ორ ენაზე — რუსულად და ქართულად, არამედ მხოლოდ ქართულად, რაც ხაზს უსვამს მათს ნაციონალისტობას! როცა ათასობით ანთებულმა სანთელმა ხანძრის საფრთხე შეუქმნა ქალაქს, მოშიშვლენებმა სთხოვეს საკავშირო მთავრობას, სასწრაფოდ შეემოყვანა ჭარი საქართველოში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოშიშვლენები იმუქრებოდნენ, რომ ისინი ანთებული სანთლებით დაამბობდნენ საბჭოთა ხელისუფლებას! ჭერ კიდევ ბოლომდე დაუწუსებელი ცნობების თანახმად, მიტინგის მონაწილენებმა და მოშიშვლენებმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს რუს ხალხსა და წითელ არმიას. სულ, წინასწარი მონაცემებით, დაზოცილი და დაჭრილია ათობით რუსი მოქალაქე და ჯარისკაცი. სწორედ ამიტომ, მოშიშვლენებისა და მთელი ქართველი ხალხის თხოვნის თანახმად, გადაწყდა, 9 აპრილს, დღის 4 საათზე შესრულებულიყო მოშიშვლენთა და, საერთოდ, მთელი ქართველი ხალხის თხოვნა და ჭარის სპეციალურ შენაერთებს გაეწმინდათ მთავრობის სასახლის წინა მოედანი პირდაპირ შემწარავია, როგორ კანიალურად იქცეოდნენ მიტინგის მონაწილენი და მოშიშვლენი ამ კეთილშობილური აქციის განხორციელებისას: დაუნდობლად ისროლდნენ ცხვირსახოცებსა და „უვაჩებს“, სიგარეტის კოლოფებსა და ქულებს!.. რამდენიმე მათგანმა კი ჭოხებით ისე გამეტებით ურტყა ტანს, რომ საცოდავ მანქანას რამდენიმე ადგილი აჭერცილი აქვს შე-

ღბრალეული მოშიშვლენები ხელიდან სტაცებდნენ ჯარისკაცებს მესანგრის ორღესულ ბარებს, თუმცა მათ ისინი არ ჰქონდათ, და გამეტებით ურტყამდნენ ერთმანეთს, აგრეთვე თავიანთ მეგობრებსა და ნათესავებს! ჭარი წინ აღუდგა ამ ბოროტებას, მაგრამ, მგონი, მსხვერპლი მაინც უნდა იყოს!.. მოშიშვლენები ამასაც არ დასჯერდნენ და ბოლოს ჭიმიური იარაღიც იხმარეს!.. ერთმანეთი გადათელეს, გაჭულიტეს, დახოცეს და ეს ყველაფერი გააკეთეს მხოლოდ იმისთვის, რომ ჩირქი მოეცხოთ ჩვენი მეომრებისათვის! ამასთან არც ჭარი და მილიცია დაინდეს! გესმით? საკუთარი მილიცია კი არ დაინდეს! რამდენიმე მილიციელი საავადმყოფოშია მოთავსებული!.. ვინ მოთვლის, რამდენი ფარია გატენილი, რამდენი შუშარადი — შეტეკული!..

ერთ ბოროტებას რომ შორჩნენ, მეორეს მიჰყვეს ხელი — ავრცელებდნენ ცრუ ინფორმაციას ჩვენს კეთილშობილ ჯარისკაცებზე, რომელთაგანაც ბევრმა მიიღო ჭრილობა, როცა პატარა გოგონების გადარჩენას ცდილობდნენ!..

ჩვენმა მამაცმა, სახელოვანმა ჯარისკაცებმა და სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფმა, რომელსაც ხალხი სიყვარულით „გრუპა ზახვატას“ ეძახის, პირნათლად მოიხადეს თავიანთი ვალი ჩვენი შრომისმოყვარე შესანიშნავი ქართველი ხალხის წინაშე — მათ მშვიდობიანი მიტინგის მონაწილეთა და მოშიშვლეთა ბოროტ კლანჭებს არა ერთი ბავშვის, მოზარდისა და განსაკუთრებით, ქალბატონების სიცოცხლე გამოხტაცეს!..

ანდრეი სახაროვის, იური როსტის, ბორის ვახილიევის, ეგორ იაკოვლევის, იური კარიაკინის, იური პლატონოვის, ვალენა კორნილოვას, ვიქტორია ჩარკოვას, ალექსანდრე გელმანის, ალეს ადამოვიჩის, როალდ საგდევის, ანდრეი ვოზნეხენსკის, ალექსანდრე ლიუბიმოვის, მარკ ზახაროვის, ანდრეი სმირონოვის, ანატოლი პრისტავკინის, ევგენი ევტუშენკოს, ლევ კოპელევის, ვლადიმერ ვოინოვიჩის და სხვა უსინდისო საზოგადო მოღვაწეთა ყოველგვარი მცდელობის მიუხედავად სიმართლემ გვა გაიკვლია — ცნობილი გახდა ჩვენი ჭარის ახალი ხეროზული გამარჯვების ამბავი მამაცი საბჭოთა არმია არახოდეს მიატოვებს გასაქირში ქართველ ხალხს და მზადაა მოშიშვლენების, მომიტინგეებისა და, საერთოდ, ქართველი ხალხის ყოველ დაძახილზე კვლავ მოვიდეს და ისეთივე უანგარო დახმარება გაუწიოს, როგორც ეს 9 აპრილს გააკეთა!..



# დღეს ისეთი დღე დაგვიდგა!..

დღეს ისეთი დღე დაგვიდგა, ყველა თითქოს იოგია, აქეთ პეტრეს ტყავი ძვრება და ის ტყავი გიოს მიაქვს. ყველა თვითონ ჩირთიფირთობს, ერისკაცობს

ზოგი კიდეც, მაგრამ ბრძნული ნათქვამია: „რასაც დასთეს, იმას შეიღე!“

არც ფრიდონ-ავთანდილი ვართ, არც ამირან-ტარიელი, ხშირად ბოლმას სხვაზე ვანთხვეთ, ამით ვიგებთ

კარიერას! არ არსებობს ჩვენთვის ზღუდე და არც სხვა რამ ბარიერი!

ერთუროს რაღაცას ვუწუნებთ, თვითონ თავხელცარიელი!

კაცი პირში გეუბნება: „ძმა ხარ, ისე შემიყვარდი!“ თურმე თავგზას გირევს, გლუპავს, გულში დააქვს ხრიკი, ფანდი!..

რას იფიქრებ, გაედები სიყვარულის გზად და ხიდად, მაგრამ მერე დააღწიო თავი მისგან, აღარ გინდა?! ჩაგაფურთხებს სულში, გულში, ექვობ:

„იქნებ უნებური...?!“

მაგრამ არა! ხვდები, დარჩი ისევ გაბითურებული! ამ ბოლო დროს შევეჩვიეთ კრიტიკასა და თვითგვემას, თუმცა ძველებურად გვიყვარს „ბის“-„ბრავო“ და ტაშისცემა!

ბრექით ლამის გავწყდეთ წელში, ქედმაღლობას ვჩივი აქვე, მერე რა, რომ ვიღუპებით, ჩვენი საქმე მიდის თავქვე!.. მერე რა, რომ ჩვენი მიწა სისხლნთხეული წინაპართა, უკანონოდ მოთრეულის საპარპაშო ველი გახდა!.. მერე რა, რომ ორბელიანს, გვარს დიდებულ იერისას, ისაკუთრებს უცხო სისხლი, სისხლი გადამთიელისა?! მერე რა, რომ რუსთაველი შეგვიბილწეს, მოგვეყვებს

ხელი, შეგვიგინებს მასპინძლობა და სიმღერა — სული ერის!.. ლაჩარს ვუქებთ სივაჟაკებს და ლაჩრობას ვწამებთ ძლიერს,

მაგოგის და გოგის ცოდვას თავს ვიღებთ და ვინანიებთ!

წახდა მიწა, წახდა გვარი, წახდა ზნე და ხასიათი, ჭეშმარიტი კაცი ახლა საქმბნელი გახდა სანთლით! სანატრელი გავგხდომია დრო მტერობის — ათი ასე!.. ო, როდემდე?! ო, როდემდე ვიყოთ ასე?!

8 თებერვალი, 1989 წ.

## მინაწერი 9 აპრილის შემდეგ

ახლა ვინც კაცებში კაცობს, ფაშად უჭდა კაცის მკვლელებს, იქ წმინდა სისხლი იღვრება, აქ კი ითბობს იგი ხელებს!.. აირია მონასტერი, შეფასება გზის და ხიდის, პატარასა — პატარის და დიდსა რომ მიეზღოს დიდის!.. თავგზას გვიბნევს „სასიკეთო“ ზოგის ნაღვაწ-ნაომარი, მეგობარი მტერია და მტერი გახდა მეგობარი!.. ვისი მაჭარი ძმარდება, ვისი მკვანე ვაზი რთველობს!.. ღმერთო, ღმერთო, ნუ გაწირავ და უშველე საქართველოს!

10 მაისი, 1989 წ.

დაიჩემებს ჩვენი ქვეყნის მწვერვალებს და ღრუბლებს, სოფლად სოფლებს დაიკავენს, ქალაქებში — უბნებს, თანაც „ძმობას“, „მეგობრობას“ ლექსად ისაუბრებს!..

სილამაზით — საარაკო, ხალხით — სასახელო, ასე რჩება სტუმრად მოსულს ტურფა საქართველო!..

წუგზარ აფხაზავა



ნ.ბ. ბ. ზუბაშვილისა

უსიტყვოდ



# დირექტორის მონოლოგი

ქართული  
საბავშვო ჟურნალი

**ჩვენი** სანარმო ორმოცდაათი წლისაა. თავისი არსებობის მანძილზე, ცხადია, ავტორიტეტულ მოიპოვა საქართველოს კვების მრეწველობის სისტემაში და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია.

მაგრამ ამ ბოლო წლებში ხელი მოეცარა — დაკარგა ძველი ავტორიტეტი, დაირღვა წლების მანძილზე დამკვიდრებული ტრადიციები.

წელიწადზე მეტია, კომბინატის დირექტორი გახლავართ და კიდევ ერთხელ თვალნათლივ დავრწმუნდი: ხელმძღვანელებზე, მისი მუშაობის სტილსა და მეთოდებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ახლა სანარმოს იმდენი უფლებები და შესაძლებლობანი აქვს, მათი გამოყენებით დიდი საქმეების კეთება შეიძლება.

არ იფიქროთ, ჩემს წინამორბედ დირექტორს ვსაყვედურობდი. წასული კაცის შეცდომებზე ქედმაღლური ლაპარაკი, იმის აღნიშვნა — ეს ასე გააკეთა, ის — ისეო, უღირს საქმედ მიმაჩნია. ღირსეული ის არის, რომ ადრე დაშვებული შეცდომები, ნაკლოვანებები გაითვალისწინო და თვითონ არ გაიმეორო!

მუშაობას სწორედ ამ პრინციპით შევუდექით. დიას, შევუდექით — ადმინისტრაცია, კომბინათი კოლექტივის საბჭო, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები ერთი მიზნისათვის დავირაზმეთ. ნათქვამია, მარტო კაცი ჭამაშია ცხრაღალიო. მით უმეტეს, ცოდვია წარმოების ის ხელმძღვანელი, ყველაფრის გაკეთებას თვითონ რომ მოინდომებს. მთავარია, ენდო აღამიანებს! ეს ნდობა შენც შეგიმსუბუქებს შრომის ტვირთს და საერთო საქმესაც უფრო ადვილად გაართმევ თავს!

კომბინატში ნამდვილად საოცარი სურათი დამხვდა: ხალხი ერთმანეთს აღმაცერად უცქერდა, თითქოს ეს შემთხვევით თავშეყრილი ბრბო იყო და არა კოლექტივი. ერთმანეთს უსაფრდებოდნენ, რათა რაიმე ნაკლი ეპოვათ და მარჯვე დროისათვის გამოეყენებინათ. ერთ-ერთის დასმენა, ერთმანეთზე ჭორის გავრცელება, შური, გაუტანლობა! — აი რა სიტუაცია სუფევდა კოლექტივში.

მუშაობას ისიც ართულებდა და ამჟამადც ართულებს, რომ ყოველ ცისმარე დღეს რამდენიმე საათის დაკარგვა მაინც მიხდება: ვზივარ და ვწერ პასუხებს სხვადასხვა ზემდგომ ინსტანციებში, თუ ვის როგორ და რატომ გამოეყო ბინა, ვის როგორ და რატომ მიეცა მანქანა, რატომ მოხდა ის ისე და ეს ასე!.. ამას უზარმაზარი ენერჯია სჭირდება, თანაც ერთობ დამამცირებელიცაა, მაგრამ რა უნდა ვქნა? საქმე ითხოვს და ვაკეთებ!

ისე, კაცმა რომ თქვას, სად არის ამის დრო! — იმდენი რამე გვაქვს გასაკეთებელი, იმდენი საზრუნავი დაგვიგროვდა, როგორც ამბობენ, თავის მოსაფხანადაც არა გვცალბია. უნდა ავაშენოთ კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღი, საერთო საცხოვრებელი, რადგან ის საცხოვრებელი, ახლა რომ გვაქვს, სამარცხვინო მდგომარეობაშია, კეთილმოსაწყობია სანარმოს ტერიტორია. ამჟამად ადმინისტრაციული კორპუსის შეკეთება მიმდინარეობს. თორემ რა გამოდის? დირექტორს კარგი კაბინეტი აქვს, მის მოადგილეს თუ მთავარ ინჟინერს — ყოველად უვარგისი!.. არას ვამბობ იმ უბადრუკ ოთახებზე, რომლებშიც ბუღალტერი ისა თუ სხვა სამსახურების მუშაკები სხედან.

მაგრამ ყველა ჩანაფიქრი რომ განახორციელო, ცხადია, საჭიროა ფული! ფული კი... ყოველწლიურად საშუალოდ ხუთი მილიონი მოგება გვაქვს დაგეგმილი. აქედან 96 პროცენტი საერთო ბიუჯეტში ირიცხება, ჩვენ მხოლოდ ოთხი პროცენტი გვრჩება. გამოდის, რომ ყოველი მოგებული მანეთიდან სანარმოს, მუშას მხოლოდ ოთხი კაპიკი რჩება. ამ ფულით კი ბევრს ვერაფერს გააკეთებ!

არა მგონია, ეს სწორი იყოს! ბოლო დროს ხშირად გაისმის საყვედურები ამის თაობაზე.

ხმა დაირბა, მოგების 25 პროცენტი სანარმოს დაწესებულებაში განხორციელდა, დიდებული საქმე იქნება!

სხვათა შორის, ჩვენმა საერთო ცდამ საშუალება მოგვცა კოლექტივში კლიმატი გამოგვეჯანსაღებინა და შედეგამაც არ დააყოვნა — 1988 წლის 11 თვის გეგმა 108 პროცენტით შევასრულეთ. გეგმა კი საკმაოდ სოლიდური გვაქვს — წელიწადში 14 მილიონ 800 ათასი მანეთის სხვადასხვა სახის კონსერვი, ცივად შებოლილი თევზი, ფრინველის საკვები თევზის ფქვილი და სხვა პროდუქტები უნდა ვანარმოოთ. ჩვენი წინარმი ეგზავნება ვოლგოგრადის, როსტოვის, ვორონეჟის, ტამბოვის და რუსეთის სხვა ოლქებს, მოლდავიისა და სხვა მოძმე რესპუბლიკებს. ჩვენი პროდუქცია საზღვარგარეთაც გადის — ვამარაგებთ ხუთ მოძმე სოციალისტურ სახელმწიფოს.

საქმე ისე ავანყევთ, რომ თითოეული ოლქი თუ საბჭოთა რესპუბლიკა გვიგზავნის მუშახელს, გამოდის, რომ თვითონ აწარმოებს მისთვის საჭირო პროდუქციას, რაც გამორიცხავს სანარმოსადმი რაიმე პრეტენზიის გამოცხადებას. ეს მაშინ, როცა სულ ახლახან კომბინატი განსაკუთრებული რეჟიმით მუშაობდა: სანამ საგანგებოდ მოვლინებული ხარისხის განმსაზღვრელი ინსპექტორი თავის შტამს არ დასვადა, ბანკი ფულს არ გვიხდოდა. მაღლობა ღმერთს, ამ დამამცირებელ მანიპულაციასაც მოელო ბოლო!

იცით, 1987 წელს სოხუმის მშრომელთა საშვიდნოეგბრო პარადზე ჩვენ მესამოცედ გაგვატარეს. წინ, ცხადია, მოწინავე სანარმოები მიდიოდნენ. მაგრამ 1988 წლის საპირველმაისო პარადზე მესამენი ვიყავით. ესეც კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ საქმე ცუდად აღარა გვაქვს. ვიმედოვნებთ, მდგომარეობას კიდევ უფრო გავუმჯობესებთ, ხელოვნური ბარიერები რომ არ გავაბრკოლებდეს.

კერძოდ, აი, რა მაქვს მხედველობაში. ჩვენი საერთო საცხოვრებელი ისეთ უბადრუკ მდგომარეობაშია, მოვლინებული მუშების დაბინავება შეუძლებელია. ამიტომ სოხუმის ფირმა „სერვისთან“ დავდეთ ხელშეკრულება, რათა მან მოაწყოს ჩვენი მუშები კერძო ბინებში, ჩვენ კი საჭირო თანხას ვუხდით. მაგრამ ჩვენთვის გაუგებარი მიზეზით ბანკი „სერვისისათვის“ გადარიცხულ თანხას არ უშვებს. და ეს იმ დროს, როცა თევზის გახურებული ჭერა მიმდინარეობს და ყოველი მუშა ოქროდ ფასობს.

ძველი სპორტსმენი ვარ — თავის დროზე ფეხბურთს ვთამაშობდი. სპორტთან დღესაც მჭიდრო კავშირი მაქვს: ალბათ პრესაში წაიკითხეთ ცნობა იმის შესახებ, რომ ამას წინათ ფეხბურთში საკავშირო კატეგორიის არბიტრის წოდება მომენიჭა. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ხაზი გავუსვა — აღსავსე ვარ ენერგიითა და იმის სურვილით, რომ ხორცი შევასხა ჩვენი მრავალრიცხოვანი კოლექტივის ერთობლივ სურვილს — აღვუდგინოთ კომბინატს ის ღირსება და სახელი, რაც მას ადრე ჰქონდა და რაც დარგის სანარმოთა შორის ერთ-ერთ მოწინავე ადგილს დააჭერინებს.

**სოხუმის თევზის კომბინატის დირექტორის ბურამ ბაბუას-კირიას მონოლოგი ჩაინერა „ნიანგის“ კორესპონდენტმა ნოდარ ხუნდაძემ.**





# მძლოლმა გააკეთა ფული!..

# ფრაზები



ფელეტონი

თბილისი — თელავი — ფშავი, მძლოლი: პირქუში, პირშავი. გვიტევს უბილეთო მგზავრი. ჩვენი არავის აქვს ჯავრი. გზა — სწორი, მგზავრობა — მრუდი. გუნება-განწყობა ცუდი. ქოთქოთი, ვაი და ვიში. სული გაიპარა შიშით. ტრანსპორტს მოძრაობა უჭირს, რა გველის, არავინ უწყის!.. ერთმანეთს ჩაჰკვრია ხალხი, სადღაა სირცხვილი, ხათრი?! ბავშვები დაოსდნენ სიცხით, ვგრძნობ, თავში მანვება სისხლი!.. მე ძლივს ჩავიტანე სული, მძლოლმა გააკეთა ფული!..


- **ღვარძლიანმა** კაცმა საკბილო რომ ვერა ნახა რა, საკუთარ თითებს დაუნყო კბენაო.
- **ცინიკოსმა** სხვას რომ ვერაფერი დააკლო, ძმას დაუნყო ქილიკობაო.
- **საქმოსანს** შეეკითხნენ: კაი კაცობაში რას გულისხმობო და — ფულსაო.
- **საკუთარი** ძმის სიკეთით დასწეულბულმა შურიანმა დახმარებისათვის ექიმს მიმართაო.
- **ნარკოტიკებით** მოვაჭრემ ინატრა: ნეტავი ჩემს კლიენტებს მიქელგაბრიელი არ წაიყვანდესო.
- **ავი ენის** პატრონმა დაიტრახა: ჩემი ენით დაკოდელი ადამიანები ვერაფრით ვერ განიკურნენო.
- **შურიანს** უძილობა დასჩემდა — ჩემმა ძმამ რატომ მაჯობა ჭკუითო.

**მაშვალა ქაჩლიშვილი**  
(გურჯაანის რაიონი, სოფელი ველისციხე)

ბივი კილაძე

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უწინდებურად ხშირია დარღვევები საბუღალტრო აღრიცხვაში. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირში სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა საბუღალტრო სამსახურის 12 ათასი მუშაკი.

გაზეთიდან



ნახ. ბ. ლომიძისა

მივადექი მზა ტანსაცმლის ინვალიდთა მალაზიას, კარებს იქით იდგა ქალი, ვერ დაძრავდა „კამაზი“ მას. ძველ ციხე-კოშკს წააგავდა მიკეტილი მჭიდროდ კარი, ძუ ლომივით მიბღვეროდა ქალი — ომის ვეტერანი. აწვირებულ ტალღას ჰგავდა ლამაზმანთა ჭრელი ჯარი, ამ ტალღაში ძლივს ვიდექი კაცი — ომის ვეტერანი. მეც მივიწვევ კარებისკენ ამდენ მოზიმიზე ხალხში, ქალი მუჯღუგუნს მთავაზობს და გოგონა მირტყამს თავში. თვალეში კი ნისლი შიდას, ველარ ვხედავ ზეცას მზიანს, რაიხსტაგი რომ მეგონა, თურმე ვლაშქრავ მალაზიას!.. გზას მივიკვლევ დარბაზისკენ ხელჩართული იღეთებით და ირევა ქალი, კაცი წიგნაკ-ტალონ-ბილეთებით!.. ვეკითხები მანდილოსანს, ბაგეწითელს, ფრჩხილზე ლაქით: — რომელ ფრონტზე მოიბოვეთ, ქალბატონო, ეგ წიგნაკი? — სულ ვეტერან ბაბუას ჰგავს ჩემი ერთადერთი შვილი, მე რომ აქეთ მოვაშურე, მასთან დარჩა მამამთილი. — ზოგმა მაწლი მომისია, ზოგმა — პაპა, ზოგმა — და-ძმა, — შენ კი, ბიძავ, ნუ მაწვები! — მითხრა ერთმა ლაწირაკმა. შვიდბალიან შტორმის ძალამ მიმახეთქა უცებ დახლთან, დამსხვრეული ყავარჯნები ძველ ნავივით სადღაც გაქრა. ჩვენ რომ შეგვრჩეს თავი მთელი და ნერვები გვქონდეს წყნარი, სკობდა ერთისთვის მიგვენდო წესრიგი და დაცვა კარის!

ივანე ოსეფიშვილი







### მჯირა, აბა არ მჯირა?

იუმორისკა

**ჩაღუნულაბულ** ბინაში ყოველ სისხამ დილით რომ წამოვხტები, სანტექნიკური სამსახურის გამართული მუშაობის წყალობით საშხაპეში მუდმივად მომდინარე ცხელ წყალს რომ აგრეთვე მუდმივად მომდინარე ცივი წყლით გავანელებ, ტანზე გადავივლებ, შემდეგ თბილისის სამკერვალო ფაბრიკის მიერ უზადოდ შეკერილ კოსტიუმსა და „ისნის“ მოხერხებულ ფეხსაცმელს რომ ჩავიცვამ, გასტრონომში ჩავივრებენ, შავ ხიზილალას, სულუგუნს, ჩეხურ ლუდს, უტალონო კარაქსა და „მარლბოროს“ ამოვიტან, ვისაუზმებ, ჩანთას ხელს დავავლებ და სამსახურისაკენ გავწევი... გზად ჯიხურში „ნიუ-იორკ-ტაიმს“, „ოგონიოკს“, „სამშობლოს“, „ლელოს“ და სხვა უურნალ გაზეთებს ვიყიდი წუთში; ცხრას რომ თხუთმეტი დააკლდება, გრაფიკის ზუსტად დაცვით ჩამომდგარ ტროლეებუსში რომ ავალ, თავაზიანი მძღოლი ყოველ შემდგომ გაჩერებას რომ შემასხენებს მიკროფონში თავისი სასიამოვნო ხმის ტემბრით, ხოლო ჩემი სამსახურის სადარბაზოში დირექტორი, პარტორგანიზაციის მდივანი, ადგილკომის თავმჯდომარე და კადრების განყოფილების გამგე რომ შემომეგებებიან: „ხომ არაფერი გიჭირთ, მანქანა ხომ არავის გინდათ ან საგზურს ხომ არ ინებებთ ავგისტროში ბიჭვინთაში, ბავშვებს ხომ არ დაასვენებთ არტიკში, ან ხომ არ გვლუპავთ და სხვა სამსახურში გადასვლას ხომ არ აპირებთო?“, მერე მუშაობით დაღლილს შესვენებაზე ბუფეტში ჩაქაფულით, კუბაჩით, ტორტის მოზრდილი ნაჭრითა და ყავით რომ გამიმასპინძლებიან, სამსახურიდან ბაზარში რომ გამოვივლი და ხელმისაწვდომ ფასებში სუკს, კალმასხა და სხვა სანოვაგეს ვიყიდი, მერე რუსთაველის თეატრში რომ დავრეკავ სახლიდან და თვე-ნახევრის შემდეგ ერთ-ერთ სპექტაკლზე ბილეთებს შევუკვეთ, რადგან მანამდე ყველა სპექტაკლზე ბილეთები გაყიდული იქნება, — მაშინ ვიყვირებ ხმამაღლა, ყველას გასაგონად: „მჯირა, რომ გარდავითმინით, ხალსო! მჯირა, აბა არ მჯირა?“

ვასო რცხილაძე

### ალმავლობა

საწარმო გეგმებს ვეღარ ასრულებს, ყბები გვეტკინა მთქნარებ-ჯშორებით!.. მასალის ნაცვლად გვამარაგებენ სხვადასხვა მარკის რევიზორებით!

თიულ სააზიზვილი  
(ქ. ხილნალი)

### შეკონაბები

- დიდ თანხას ნუ მიაართვე უფროსს „საჩუქრად“, გახსოვდეს, რომ ისიც სიკვდილის შვილია, ფულს დაკარგავ!..
- მიზრობალს გულში შეაგინე, იმან რომ პირდაპირ შეგაგინოს, მოგებული დარჩები!
- ნუ გააკრიტიკებ, რატომ გაჰყვა ოლია კოლიასო, რა იცი, იქნებ თვითონ უფრო ნანობენ?
- თუ ვოკალისტი არ ხარ, ქალებს არ შეეკამათო, მეცოსობრანოზე იციან გადასვლა!..
- ბაზათის გამყიდველს წერილმანი ხურდა არ მოსთხოვო, თორემ თვითონ დახურდავდები!
- ტაქსში რომ ჩაჯდები, წინასწარ შეაგინე გულში მძღოლს და ყაიმი იქნება!

მურმან მერკვილიშვილი









# არ მინდა პენსია!

ნოველა

პიტყვი თუ არა გვარსა და სახელს, მაშინვე მიხვდებით, ვიზეც ვლაპარაკობ. ჩემი უფროსი საქვეყნოდ ცნობილი კაცია. რა ლონისძიება გინდათ, რომ ის არ ესწრებოდეს, ვისი იუბილე უნდა გაიმართოს, რომ იმან სიტყვა არ უთხრას და ცრემლის-მომგვრელი ალტაცებით არ დაასაჩუქროს. იუბილეზე მოგახსენებთ, თორემ მე რომ სიტყვას მეტყვის, ის უფროსია და მე ვინა ვარ?!

ბევრი დადებითი მხარე აქვს ჩემს უფროსს, იმდენი, რომ ჩამოთვლაც კი მიჭირს და აშკარად სათქმელად მხოლოდ ერთს შემოვიტოვებ: იმდენად სერიოზული კაცია, ოცდაშვიდი წელიწადია არ გაუცინია. ხუმრობაა? თანამშრომლები იცინიან, იღრიჭებიან, კისკისებენ, ხითხითებენ, თუხთუხებენ, სული უგუბდებოთ, კბილები ლამის გარეთ გამოყარონ, მუცელს ათამაშებენ, შენ რა გითხარიო, იძახიან და ჩვენი უფროსი კი — ვითომც არაფერი.

აბა, რა გეგონათ! უფროსი და სერიოზულობა განუყოფელი უნდა იყოს. ამას წინათ უფიქრია, უფიქრია და მოადგილესთან უთქვამს: ყველა გარდაქმნას მოითხოვს და მე რა მჭირს გარდასაქმნელი, რა ვქნა, რა ჩავიდინა? რით გარდავიქმნაო? მოდი, გავიცინებო. მის მერე გაცილებას ცდილობს და არ გამოუდის... გარდაქმენი ასეთი სერიოზული კაცი, თუ ვაჟკაცი ხარ!

მისმა ყველაზე უფრო ახლობელმა პირმა გაიგო ეს და თურმე ურჩია: ცოლი დაარჩიე, ხანდახან გილიტინოსო. ცოლს არ უკისრია ლიტინი, გამლახავსო, უთქვამს. ესტრადაზე წაიყვანეს. ტირილით აიკლო თურმე ყველაფერი: მეგრული კაცი რა დასაციინია, რაჭველი ხომ არ არისო!

ეგაც თქვენა, მიდით და გარდაიქმენით! მე? მე რა მიჭირს. შემეყვანა იმ დღეს თავის კაბინეტში და დაჯექიო, მიბრძანა. მაგისტანა ბრძანება შემისრულებია? დავეჯექი. დავეჯექი და მთელი ჩემი სიცოცხლე რომ მეფიქრა, ვერ წარმოვიდგენდი, როგორი ყურადღებიანი ყოფილა ოთარ წინიბური. ხომ მიხვდით, ვინც არის? არ მინდოდა მეთქვა მისი სახელი და გვარი და ეშმაკად წამომცდა.

ჰო, შემეყვანა კაბინეტში, დამსვა და ტყვიასავით მესროლა კითხვა, რამდენი წლისა ხარო?

— სამოცს ორი წელი მიკლია, ბატონო! — ვთქვი და თვალე-ბში შევხედე—თუ მიხვდებოდა, რომ მალე საპენსიო ვიქნები-მეთქი.

— ვიცოდი... — მაშინვე ბრძანა, — იმიტომ დაგიძახე, რომ პენსიაზე ვიფიქრო. ცოლო ხარ, შენი ხელფასიდან რა გერგება?..

— მერე-მეთქი?

— წადი და იფიქრე, რა გავაკეთოთო.

— მე რის გაკეთება შემიძლია-მეთქი?

— წადი და იფიქრეო! — გამიჯავრდა და გამომავდო. მისი სახე მანიშნებდა: შენისთანა მუდო შიმშილით უნდა მოკვდესო.

ვიფიქრე, ვიფიქრე, ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა, მესამე დღეს კარზე მივაღექი.

უცებ არ მიმიღო, საათ-ნახევარს მაცდევინა. მგონი, წარდს თამაშობდა ეპიფანესთან. რა მენალღვლებოდა, იმისი საქმე ცდებოდა ჩემი იქ ჯდომით, ჩემი ხომ არა!

მერე, ეპიფანე რომ გამოვიდა კაბინეტიდან, უფროსმა შემეშვა და ფეხზე გაჩერებულს მკითხა:

— მოიფიქრე?

— ვერა-მეთქი.

— ოცდაშვიდი წელიწადია ჩემთან მუშაობ და პირველად მივხვდი, რომ შტერი ხარ. მაღალხელფასიან ადგილზე გადაგიყვან, საპენსიო ცნობა შენ და ხელფასის განსხვავება მეო!

სისხარულისაგან კინალამ მუხლებში ჩავიკეცე. ოთარს შევეცოდე და დაჯექიო, მითხრა. ერთი რამე შინც არ მოენონა უფროსს ჩემი. ღიმილი მეკერა თურმე ტუჩებზე. ბრძანება წინასწარ დაენერა ახალ ადგილზე ჩემი დანიშვნის შესახებ და ბუ-ლაღტერიაში გამაბანა.

შაბათი დღე იყო. ერთი საათით ადრე წავედი შინ და გზაში სულ ამაზე ვფიქრობდი. ავტობუსში სიცილი დამიწყია და მე ვერ შევამჩნიე. მეზობელმა მკითხა მერე, რა გაციინებდაო. როგორ თუ რა მაციინებდა, ჩემს სიცოცხლეში ას ოც მანეთზე მე-

ტი ხელფასი არ მქონია და ას ოცი მანეთი პენსია ჩემსკენ კუნტრუსით მორბოდა. ასეთ რამეებს შეუჩვეველს მრცხვენოდა, კაცს ველარ ვუყურებდი თვალეებში, მგზავრებდაც კი. იმიტომ ველარ ვიციანი მეზობელი ტროლეიბუსში. შინ რომ მივედი, ცოლმა ცალი თვალი დამაღდა და მაშინვე მიხვდა რალაცას, სიცხე ხომ არა გაქვსო, მკითხა. კიდევ გამეცინა, მაგრამ ცოლს არაფერი ვუთხარი. რომ გამტყუნებულყო მაღალი პენსიის ამბავი, რა გაუძლებდა დედაკაცს?! შენგან კაცი არ გამოვაო, მაშინვე მეტყოდა.

დარდითა და ვარამით გავათიე ის ღამე. ჩემს სიცოცხლეში მსგავსი რამ არ ჩამიდენია. ჩვიდმეტი წლის ასაკიდან რომ ათასწარი ლექსს ვუმღეროდი სამშობლოს, ვამკობდი, ვადიდებდი, სიცოცხლს გაჩუქებ-მეთქი, ვგირდებოდი, ახლა მისი ძარცვა უნდა დამეწყოს!.. თუმცა მე რა შუაში ვიყავი? ვიყავი, აბა არ ვიყავი?! ხომ შემეძლო უარი მეთქვა? არა, არ შემეძლო! — ოთარ წინიბური ჯიბიდან რომ გაცლიდეს ფულს, ჯიბეს ვერ გაიქნევ, ისეთი სერიოზული კაცია.

ღამის ოთხ საათზე გამომადიდა ცოლმა: რა დაგემართაო? — პენსია არ მინდა-მეთქი, ვყვიროდი თურმე სიზმარში. ცოლი კინალამ დაიხრჩო სიცილით, რა დროს შენი პენსიააო, და იმან რომ დაიძინა, მე გათენებამდე ისევ ვფიქრობდი, ეს რა ჩავიდინე-მეთქი.

ვიცი, არ დაიჯერებთ, მაგრამ მე ასეთი კაცი ვარ, რა ვქნა!.. იმიტომ მეძახის ცოლი ღვთის გლახას, სიღვდრი — ვირს, სიამამრი უბედურს, ხოლო მეზობლები — პატიოსანს, ვირს არა, — კაცს.

ნეტავ კვირადღე არ გათენებულყო!.. ცოლს მეზობლებისათვის ეთქვა: თუ ჩემი ყვირილი გაიგონოთ, უცებ შემოცვივდითო! რა გასაკვირია, ცოლისთვის დღესაც არ მითქვამს, რომ პენსია ას ოცი მანეთი მექნება.

გულს გადავყოლებ-მეთქი, ვიფიქრე და გაზეთი ავიღე წასაკითხად... ერთი წერილი, მეორე და მაინცდამაინც იმ ადგილს მივაღდექი, სამსახურიდან რომ რალაცა წერილმანი გააქვთ თანამშრომლებს. ქურდულად, რა!.

შემრცხვა, დავინვი, ჩავიფუფექი!.. ავტორს მაგალითები მოჰყავდა. ათი ათასმა კაცმა რომ დღეში ათასი პამიდორი წაილეს შინ, დაწესებულებას რა დაემართებო!.. მერე იმასაც უმატებდა: შინ რომ ათი ათასს წაიღებს, ბოსტანში რამდენს შეჭამსო!.. ჰოდა, რა დოვლათი ექნება ქვეყანას ასეთი ბედოვლათი ადამიანების ხელშიო!..

უსერსულობისათვის რა მექნა, თორემ აქვე დავიყვირებდი, რომ პენსია არ მინდა!

მივეყვებოდი გაზეთის წერილს და სირცხვილისაგან თანდათან ლობიოსავით ვიხარებოდი. ნემსი რა არისო, — ავტორი განაგრძობდა, — წარმოვიდგინოთ, რომ თბილისი ნემსების ქარხანააო. ერთმა მილიონმა კაცმა რომ დღეში მილიონი ნემსი მოიპაროს, კაცზე ერთი ნემსი მოდის, მეტი ხომ არაო. ოჰ, როგორ ვინატრე, რომ ჩემს ცოლს სკამისათვის წამოველო ხელი და თავში დაეთხლიმა ჩემთვის!..

ვცადე მოვეყვებოდი სტატიის კითხვას. ვერ მოვახერხე. ისეთი მაგალითები მოჰყავდა ავტორს, თავი ვერ დავანებე. შაქრის ქარხნის მაგალითზე მსჯელობდა: მილიონმა კაცმა რომ დღეში მილიონი ნატეხი შაქარი დააკლოს სახელმწიფოს, აბა, ანონეთ, რამდენი ტონა გამოვაო!..

მომენონა წერილი. მართალია, ძალიან ცუდად იმოქმედა ჩემზე, მაგრამ მაინც ნავეკითხე ბოლომდე. ბოლოში რომ ჩავედი, ცოტა მომეშვა გულზე. სტატიას ხელს ოთარ წინიბური აწერდა, ჩემი უფროსი!..

გიორგი ივანიშვილი



**ზოგიერთ კოზობრატორს**



ო, უფრო მაგრად მოვიდოთ ხელი, თორემ თავებმა იპოვეს ხერელი, ნახეს ადგილი, მომგვრელი მადის, საწყობებიდან გადის და გადის!.. თავუნებს დროზე თუ არ მივხედავთ,



ხომ შეიძლება იქცნენ ვირთხებად? ვაითუ, ვირთხამ შეიტკბო აწმყოც, ცდუნებას თავი ვერ დააღწია, ნამამაძალი იმგვარად გაყო, მანქანებად და ოქროდ აქცია?! ზოგიერთები ამ გზით მიდიან, ფულის შოვნისთვის სინდისს ყიდიან. ასეთებს მკაცრად მოვიკიდოთ ხელი, თუ გვსურს, სინათლეს არ ახლდეს ბნელი!

**მელის არჩევანი**

ერთხელ დათვმა ლომს შესძახა: „თამალობა გეყოფა!“ აიყოლა მგელი, ტურა, ხელში იგდო მეფობა! მელაც როდი დაივიწყა, ილაღა და იხარა, მოურავ,

ამრავლო! — ჩააბარა ცხვრის ფარა. მოადგილედ მგელი დასვა ნებითა და ურიგოდ, სასამართლო საქმეები მიულოცა ტურიკოს!.. და მიადგინენ საწყალ ფარას, გაჰქონდათ და გაჰქონდათ, დათვი ათს რომ გამოხრავდა, ხუთ ცხვარს მგელი აქრობდა!.. ფარის მწყემსი მელია კი ხან ღობავდა, ხან სხლავდა, თხუთმეტი რომ გაქრებოდა, ოთხსაც იგი სანსლავდა!.. ტურის ხელში ღმერთად იქცა მოსამართლის ბეჭედი, ყოველ ღამით მისდიოდა დაკლული ცხვრის ბეჭები!.. აქსიომას ნუ ვამტკიცებთ, დამტკიცება რად უნდა?! ზღვა რომ კოვზით დაილია, მაშინ მიხვდა დათუნა!.. ასე რისგან გაზულუქდა, ჩამოეშვა ღაბაბი, მისი ზორბად გასუქების ცხვარი იყო საბაბი!.. და რომ თავი დაეძვრინა, არ ჩაეგდოთ ავკაცად, მელაკუდას საქმეები სასამართლოს გადასცა. ტურა, აბა, რის ტურაა,

მასაც უყვარს ბნელია, მგლის და დათვის შიშით დაფრთხა დაიჭირა მელია!.. მელა, აბა, რის მელაა, მას იქმს, რაც მას უნდაო! ხალხმა დროზე დაუძახა მელას მელაკუდაო! მოდა, ენა გადაყლაპა და სიმართლე შეჯავრდა, რადგან მგელი მართლის თქმისთვის დღესვე მართლა შეჭამდა!.. გაიძვერას ნაქურდალი იმდენი აქვს, არ შია, ამიტომაც მგლისგან შეჭამს ათი წელი არჩია! **მიხაილ სანიკიძე**



ნახ. ვ. კუციანი

უსიტყვოდ


**პასჯა ცხოვრებოში**

**ბ ი დ ი რ ი**

ბ ი დ ი რ ს ო რ ი ვ ა ჟ ი შ ე ლ ი ჰ ყ ა ე ლ ა. როცა მათ საშუალო სკოლა დაამთავრეს, მამას შეეკითხნენ: — მამა, რომელ ინსტიტუტში შევიდეთ, რომ ხალხში სახელი გავითქვათ? — სახელის მოხვეჭას ნუ ცდილობთ: სჯობია ქონება, სიმდიდრე მოიხვეჭოთ! როცა მდიდრები იქნებით, ხალხიც პატივისცემით მოგემყურებთ! — მიუგო მამამ. — მამა, შენ ხომ ბევრი ქონება გაქვს, რატომ პატივს არ გცემს ხალხი? ბიდირმა მათ არაფერი უპასუხა, გამოვიდა ეზოში და ცოლს უთხრა: — ბავშვების მაგიერ რომ ბურვაკები დამეზარდა, უფრო დამშვიდებული ვიქნებოდი!

ოსურიდან თარგმნა **ე. მერაბიშვილი**

ნახ. ბ. ზუბაშვილისა



უსიტყვოდ



# ჩვენნი

# კაზი



**ცნობილ** იუმორისტსა და ჟურნალისტს, „ნიანგის“ რედაქციის კოლექტივის აქტიურ წევრს, კაი ყმას — **გარი მატრაპელს** დღეს დაბადების 60 წელი შეუსრულდებოდა!..

გარი მეტრეველი ერთ-ერთ თავის წიგნში ლეგენდარულ ქართველ ფორვარდზე მიხეილ მესხზე წერდა:

„იგი დაიბადა 1937 წლის თერთმეტ იანვარს, დღის თერთმეტ საათზე. თერთმეტი კლასის დამთავრების შემდეგ თერთმეტ ნომრად ჩარიცხეს თბილისის „დინამოში“. თერთმეტში გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე და თერთმეტში იქორწინა. გუნდში სიმალლით მეთერთმეტეა, მისი თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა არასოდეს არ ასცდენია მიზანს, მისი მანქანის ნომერიც კი ორმოცდახუთი თერთმეტია. და, ბოლოს და ბოლოს, მისი სახელი და გვარიც ხომ თერთმეტი ასოსაგან შედგება: მიხეილ მესხი“.

თვითონ გარის ცხოვრებაში ასეთი „აკვიტებული“ ციფრი აღმოჩნდა „5“.

დაიბადა 5 მაისს, საბჭოთა პრესის დღეს (1929 წ.). პირველი წიგნები „მინდორზეა მეთერთმეტე ნომერი“ და „პლატონური სიყვარული“ გამოსცა შვიდჯერ 5 წლისამ (1964 წ.). როგორც იუმორისტმა ბევრჯერ მიიღო უმაღლესი შეფასება „5“ (გაიმარჯვა „ნიანგის“ ყოველწლიურ კონკურსებში და მათი ლაურეატი გახდა). კაცობაში ხომ ეკუთვნოდა და ეკუთვნოდა 5-იანი! გარდაიცვალა 55 წლისა. იმ დროიდან გავიდა 5 წელი!..

\*\*\*

**გარის** პროფესიულ ნიჭს ბევრი დამფასებელი ჰყავდა. თვით ნოდარ დუმბაძეს უთქვამს: დიდი სიამოვნებით მოვანერდი ხელს მის ბევრ ფელეტონსო. კიდევ ერთი საბუთი. „ეროკოდილის“ რედაქციამ გარის გა-

მოუგზავნა თავისი სამუშაო გეგმა 1976 წლისათვის. წერილი ასე მთავრდებოდა:

„სურვილი გვაქვს ჩაერთოთ ჩვენს ახალგაზრდულ განყოფილებაში „სატირობუსში“, რომელიც შემოვიღეთ „ეროკოდილში“ წლეულ!.. ყოველივე, რაც აღელვებს ახალგაზრდობას, ყოველივე, რაც მას ხელს უშლის — ყოველივე ეს გვინდა ვნახოთ თქვენს მასალებში...“

როგორც ხედავთ, ჩვენი გეგმები და ჩანაფიქრი საკმაოდ ფართოა. და მათ განხორციელებას ჩვენ შეეძლებოდა მხოლოდ თქვენი აქტიური დახმარებით. სასურველია მიგვეღო თქვენი „შემხვედრი გეგმაც“, აგრეთვე გთხოვდით დაგეგონკრებებიანთ ჩვენი მონახაზები...“

\*\*\*

**გარი** საკმაოდ ხელხვავიანი ავტორი იყო. მოთხრობები, ნოველები, იუმორესკები, ფელეტონები, სკეტჩები, ჩანახატები, ნახატ-კარიკატურების თემები... და ყოველი მათგანი, დასტამბული თუ დაუსტამბავი, მკურნალი ღიმლითაა შეზავებული. ნაწერები — თავისთავად, მაგრამ გარი უხვად იხარჯებოდა ზეპირი იუმორითაც.

ზოგჯერ თავის „ნიანგსაც“ კი არ ზოგავდა. „ნიანგსაც“ ჰქონდა პერიოდული ჩავარდნები, ჰოდა, როცა მდარე, უკბილო ნომერი გამოგვივიდოდა, გარი ჩუმად ჩაიქირქილებდა ხოლმე:

„**ნი სატირა, ნი ანგლობა!** — ფუი, ასეთ „ნიანგობას“! ახლა რამდენი მარგალიტია გაბნეული გარის არქივში!

\*\*\*

**გარის** არქივი ვახსენეთ. ჩვეულებრივი დინამიკა ასეთია: პოეტურ მუზას აყოლილი კაცი ბოლოს და ბოლოს „დინჯდება“ და გადადის პროზაზე. იშვიათად, მაგრამ პირიქითაც ხდება. გარი პროზის ერთგული დარჩა.

მას დიახაც უყვარდა ქართული პოეზიის მარგალიტები და ზეპირად ჩააბულბულებდა ხოლმე, მაგრამ თვითონ არასოდეს არ ჰქონია პრეტენზია მგოსნობაზე, ხანდახან თუ ჩამოჰკრავდა პოეზიის ჩანგის სიმს და ლექსად იტყოდა თავის გულსინადაებს, ისე, თავისთვის და არა „პრესისთვის“.

მის არქივში აღმოჩნდა უსათაურო ლექსი:

„სკიდან თავის ქალისა ამიფრინდნენ ფიქრები:  
ხომ არ ვიყავ ოდესლაც? ოდესლაც არ ვიქნები!..  
გამოდის, რომ ბრუნვაა არის მთელი ცხოვრების,  
მწერისა და ფრინველის, კაცისა და ცხოველის!..  
სკასა თავის ქალისას კვლავ ეწვივნენ ფიქრები:  
ხომ ვიყავი ოდესლაც? ჰოდა, ისევ ვიქნები!“

მართლაც, გარი ისევ არის ჩვენს შორის, ოღონდ არა ხორციულად, არამედ თავისი სულით.



გარი თვით გახდა მეგობრების შეხუმრებისა და მოფერების საგანი. მისდამი თავისი დამოკიდებულება ზოგმა მეგობრული შარჟით გამოხატა, ზოგმა — მისეული ამბების მსუბუქი იუმორისტული დეკლამაციით, ზოგმაც — ლექსით.

ზ ა უ რ ბ ო ლ ქ ე ვ ა ძ ე :

„ნასვლის წინ გარის ზაურ ბოლქვაძემ  
ტირილით ასე უგალოობა:  
რაც წიანგისთვის არის უწყლობა, —  
ის არის ჩემთვის უგაროობა“.

ეს ითქვა გარის პირველი, დროებითი ნასვლის დროს „წიანგდან“.

„საქმე რედაქციაში გარძნელდა და გართულდა!..  
უშენობა დაგვეტყო!.. გარგვეჯორავენ გარდუელად!  
გრანდო, გარდანქეშანო, უნდა გითხრა, გარ, ჩემო:  
ვართ ხუმრობის გარეშე, მოწყენა გარშემო!“

ეს კი ითქვა გარის მეორე, ამჯერად მისი საბოლოო ნასვლის წინ „წიანგდან“ — იმ ქვეყნად!..

\*\*\*

გარი ყმაწვილკაცობიდან დაწყებული ნელ-ნელა იცნებოდა მეგობრებით. მერე სიკვდილმა დაატრიალა თავისი მსახვრალი ცელი — წავიდნენ ამ ქვეყნიდან მისი სულის ხვაში-ადნი — მოსე ქარჩავა, ედიშერ ყიფიანი, ნოდარ ჩხეიძე, არლი თაყაიშვილი... და გარიც თითქოს ნელ-ნელა დაიცალა!..

მაგრამ დარჩნენ კიდევ მეგობრები, ახლობლები, ვისაც ახსოვთ გარი და, რაც მთავარია, დარჩნენ მისი სალოცავი ქალიშვილები — ია, მაია, მანანა. მანანა უურნალისტობამ გაიტაცა, ესე იგი, გარი — უურნალისტი — გრძელდება!..

\*\*\*

გასრულდა ესე ამბავი...

როგორ გვაკლია და როგორ გვეჭირდება ყოველთვის გარი არა მარტო თავისი კაცობითა და თანადგომით, არამედ როგორც ცინცხალი შემოქმედებითი ნიჭით მომადლებული იუმორისტიც!.. ვაგლახ, რომ ამ ბედნიერებას უკვე საბოლოოდ მოკლებული ვართ, ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ!

შანი სინხარულიძე

ნახ. ბ. ზუბაზვილიისა



უსიტყვოდ



უსიტყვოდ

## ენის გასატეხი

- მოიჯარამ ჯერ გული იჯარით მოიჯერა, მერე არენდა მოუნდა.
- გაბაზრებულ ბაზას გაბრაზებულ ზაზას ზარ-ზეიმით აბარებენ.
- შრეაბით ფიქრი „ფრი... ფრი“-ზე უფროვე არსაფერია.
- წრუნუნა წუნუნუნუნს, ოფლი სდის წურწურით.
- ელოდება სიურპრიზები: სულ — პრიზები, სულ — პრიზები...
- ნაზის ასუქებს ლიზას ნაზუქი.

ბ. ცინცხალი

## დილობები

- გამარჯობა, კირილე!
- გაგიმარჯოს!
- სად მიგყავს ეს შეკაზმული ცხენი?
- ბაზარში, გასაყიდად.
- ტყუილად გარჯილხარ!.. ახლა, საჯაროობისა და დემოკრატიის ხანაში, შეკაზმული ცხენი ვის სჭირდება?!
- გუდა-ნაბადი რომ აგიკრავს, სად მიდიხარ?
- თბილ ქვეყნებში. აქ ბინები არ თბება და გავიყინე, მერცხალმა როგორ უნდა მაჯობოს ჭკუით?!
- რამ გაბერა, ბიჭო, ეს ბულალტერი?
- შტატები ჰყავს გაბერილი და იმან, ჩემო კარგო!
- რა უყავი, ბიჭო, სინდისი? — ჰკითხეს ერთ გამყიდველს.
- იმპორტულ საქონელთან ერთად გადამალაო, — განმარტავილაცამ.
- \*\*\*
- ეს რევიზორის ცოლია, ანუ რევიზორის რევიზორი.
- როგორ ეს?!
- ქმარი რომ დაბრუნდება რევიზიიდან, ხელჩანთას უმონ-მებს, თუ არ აღმოაჩინა, რაც უნდა, — დასჯის!

ოთარ ნაჭყებია  
(ქ. სოხუმი)



7-90



სატირიკო და იუმორის  
 შურნალი, ნიშნული № 18  
 (1788) მაისი. გამოდის  
 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი  
 ზურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი  
 (პასუხისმგებელი მდივანი),  
 კახუა ამირეჯიბი, ნოზალი  
 ბარათია, ბორის გურგუ-  
 ლია, რევაზ თვარაძე, ჭე-  
 მალ ლოლუა (მხატვარ-  
 რედაქტორი), ნოდარ მა-  
 ლაზონია, ალექსანდრე სამ-  
 სონია, ბეჟან სიხარულიძე  
 (მთავარი რედაქტორის მო-  
 ადგილე), ჯანსუღ ჩარკვია-  
 ნი, თამაზ წიგწივაძე, ნა-  
 ფი ჭუსიითი.

ტექნიკური რედაქტორი  
 ირაკლი დუნდუა

გადამცემი ასაწყობად  
 19. 04. 89 წ. ხელმოწერი-  
 ლია დასაბუქდალ 25. 05.  
 89 წ. ქალაქის ზომა  
 60x90/8, ფიზიკური ნაბე-  
 ქდი ფურცელი 1,5. სააღ-  
 რიცხო-საგამომცემლო თა-  
 ბახი 1,9. საქართველოს კ-  
 ცის გამომცემლობა,  
 ლენინის 14. შეკვ. № 921.  
 უე 09318. ტირაჟი 130000.  
 უფრნალი გამოდის თვეში  
 ორჯერ. რედაქციაში შემო-  
 სული მასალები ავტორებს  
 არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.  
 თბილისი-8, რუსთაველის  
 პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი  
 რედაქტორის — 99-55-54,  
 მთ. რედ. მოადგილის —  
 93-19-42, პ/მგ მდივნის —  
 93-10-78, მხატვარ-რედაქ-  
 ტორის — 99-02-38, გან-  
 ყოფილებთან გამგეების —  
 93-49-32, რედაქტორ-ლიტ-  
 მუშაების — 99-02-38,  
 მდივან-შემანქანის —  
 99-76-69.

სატირიკო - юмористи-  
 ческий журнал «НИ-  
 АНГИ» (На грузин-  
 ском языке). Тбилиси,  
 пр. Руставели № 42.  
 Издательство ЦК КП  
 Грузии, ордена Трудо-  
 вого Красного Знаме-  
 ни типографии изда-  
 тельства ЦК КП Гру-  
 зии, Тбилиси, улица  
 Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.  
 ინდექსი 76137

КОНТРОЛЬНЫЕ  
 ЭНЗЕМПЛЯРЫ